საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 30 მარტი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/24

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლებისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1.1. მე-17 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ო1" ქვეპუნქტი: „წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს".

1.2. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: აკადემიურ საბჭოში არჩეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლების შემადგენლობა ექვემდებარება ერთი მესამედით განახლებას ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ."

1.3. 33-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სასწავლო და სამეცნიერო-
კვლევითი მუშაობის , აგრეთვე აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის პრო ფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით , განათლების ხარი სხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნვე ლყოფის სამსახური , რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად

1.4. 33-ე მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1' პუნქტი: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აფასებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს აკადემიური საბჭო

1.5. წესდების 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან და ასისტენტებისაგან.

1.6. 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4 5 . აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. <u>საშემსრულებლო მიმართულებით</u>

ა) პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური ან/და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება. აღნიშნული პროფესორის თანამდებობაზე პირის ზედიზედ მესამე ვადით არჩევის შემთხვევაში შესაბამისი აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იგი ამ თანამდებობას საპენსიო ასაკის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევამდე იკავებს.

ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ეწევა პედაგოგიურ და/ან აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას და აქვს პროფესიული წარმატებები.

2. <u>თეორიული მიმართულებით:</u>

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება; პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი“.

3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დამატებითი პირობები განისაზღვრება აკადემიური თანამდებობების დაკავების წესით.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**